№ 99 13 მაისს, კვირა 1866—1879 13 მაისს, კვირა № 99

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, გ. შადინაძის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Д р о э б а“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: დიდის ასოებით ახოზე—1 კაპ., [illegible] სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

**რადგან კვირასა და ორშაბათს უფ. მელიქიშვილის სტამბას ჩვეულებრივი სამღვთო აქვს, ამის გამო სამშაბათს გაზეთი ვერ გამოვა.**

---

## ცალკე ნომრები „დროებისა“

ისყიდება თფილისში: აზნაუროვის თამბაქოს მაღაზიაში (ბულვარზე) და ვართანოვისა და ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში;

ქუთაისში: უფ. პოტე მესხის წიგნის მაღაზიაში.

ფოთში: რკინის გზის ვაგზალზე.

რკინის გზის ყველა სტანციებზე კონდუქტორებთან.

---

## ტელეგრამმები

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**ვენა, 9 მაისს.** ბოლგარიის მთავარი ბატტენბერგი გამოეცხადა დღეს ავსტრიის იმპერატორს ფრანც-იოსიფს. შემდეგ ავსტრიის პირველ მინისტრს ანდრაშის გაუკეთა ვიზიტი.

**ბერლინი, 9 მაისს.** რეიხსტაგის თავსმჯდომარედ ზეიზელიც ამოირჩიეს.

---

## საქართველო

---

### ჩვენი თავად-აზნაურობა

(ფიქრები წლევანდელი კრებების გამო)

სტატია პირველი.

იყო დრო, როდესაც თავად-აზნაურობას დიდი და უეჭველი მნიშვნელობა ჰქონდა თავის სამშობლო ქვეყნის საზოგადო ცხოვრებაში; იყო დრო, როდესაც ყოველ თავადსა და აზნაურს, ყოველ „კეთილშობილს“ სრული უფლება ჰქონდა ეთქვა, რომ მე მუქთად არ ვტკეპნი ჩემი ქვეყნის მიწასაო; იყო დრო, როდესაც, ერთის სიტყვით, ჩვენი „მაღალი საზოგადოება“ ისეთი გამოსადეგი და საჭირო წოდება იყო ჩვენის ქვეყნისათვის, როგორც სხვა ყველა წოდების ხალხი.

ეს იყო ის დრო, როდესაც „პატარა, მაგრამ კარგს“ საქართველოს ყოველის მხრიდამ მტრები ეხვივნენ გარშემო და შთანთქმას ემუქრებოდნენ; ეს იყო ის დრო, როდესაც ყოველი თავად-აზნაური თავის უპირველეს და უწმინდეს ვალად რაცხდა, რომ ამ მტრებისაგან დაეცვა თავის ქვეყანა, თავისი ერობა და თავისუფლება.

მართალია, მაშინაც, ჩვენ ისტორიულ ცხოვრების დროსაც, თავად-აზნაურებს, განსაკუთრებით უფრო დიდებულ თავად-აზნაურებს არა-ერთხელ უღალატნიათ თავის ქვეყნისათვის, ამათ არა-ერთხელ მოუწვევიათ მტერი თავისივე თანამოძმეების ასაოხრებლად და თავისივე სამშობლოს ასაკლებლად; მაგრამ იმ ისტორიულ დროში საზოგადოთ თავად-აზნაურებს მაინც შეიძლება დავარქვათ ქვეყნის დამცველი წოდება, მაინც შეიძლება ვსთქვათ იმათზე, რომ კანონიერად ჰქონდათ მინიჭებული ის პატივი და დიდება, რომლითაც სარგებლობდნენ.

ეს დრო წავიდა. მას აქეთ, რაც რუსეთმა თავის არწივის ფრთებ ქვეშ შეიფარა საქართველო, მას აქეთ, რაც ჩვენ მუდამ წამს არ გვეშინიან გარეშე მტრისაგან ჩვენის ქვეყნის აოხრებისა, მას აქეთ ეს ძველი მნიშვნელობა საქართველოს თავად-აზნაურობისა დაიკარგა.

აღარ არის ახლა საჭირო თავად-აზნაურობის მტერზე გალაშქრება; აღარ არის საჭირო იმისაგან თავის ქვეყნის დაცვა ფარ-ხრმლითა და თოფ-იარაღითა. საქართველოს თავის პატრონი აუჩნდა, ის იცავს მას გარეშე მტრისაგან. . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ისტორიული გარემოება ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისა შეიცვალა; ამნაირადვე უნდა შეცვლილიყო აგრეთვე ის დამოკიდებულება, რომელიც იყო ერთის მხრით თავად-აზნაურობას და მეორეს მხრით დანარჩენ ხალხს შუა.

ნამდვილად კი, როგორც ვხედავთ ეს ასე არ მოხდა: თავად-აზნაურობა აღარ ემსახურება თავის ქვეყანას; მაგრამ ეს ქვეყანა კიდევ ემსახურება თავად-აზნაურობას.

ყველასთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ეს ამ გვარი მდგომარეობა ჩვენის ქვეყნისა და ამგვარი ერთმანეთთან დამოკიდებულება სხვა-და-სხვა წოდებისა არ არის ნამდვილი, გონიერი, ნორმალური.

და მართლაც, ჩვენ მუდამ დღე ვხედავთ უკმაყოფილებას თავად-აზნაურსა და გლეხს შორის; მუდამ დღე ვხედავთ, რომ ახლანდელი გლეხი სრულებით იმისთანა კარგის თვალით არ უყურებს თავად-აზნაურს, როგორც ძველი გლეხი უყურებდა ძველ თავად-აზნაურს; მუდამ დღე თან-და-თან მატულობს გაუგებლობა, განცალკევება, განხეთქილება და უკმაყოფილება ამ ორ წოდებას შუა. რაც ერთს თავის-თავისათვის სასარგებლოდ მიაჩნია, ის მეორესათვის მავნებელი გამოდის; რაც ერთს ახარებს, ის მეორეს ატირებს; ვინც ერთისათვის ანგელოზია, მეორე იმას ეშმაკად რაცხს; ერთის თეთრი მეორის შავია.

და რა სიკეთეს უნდა მოელოდეს ქვეყანა, როდესაც იმის შვილებში ამისთანა დამოკიდებულებაა? რა კეთილი უნდა დაეყაროს საქართველოს, როდესაც იმის თავად-აზნაური გლეხს ისე უყურებს, როგორც თავის სააღდგომო კრავს, და გლეხსაც, თავის მხრით, ეს თავის ადრინდელი ქვეყნის დამცველი, დღეს თავის მძვინვარე მტარვლად მიაჩნია? როცა ერთის ოჯახის ძმებში ამისთანა უკმაყოფილება, ამისთანა განცალკევება და ინტერესების წინააღმდეგობა ჰსუფევს, რა ხეირი უნდა მოელოდეს ამისთანა ოჯახს?

აკი არ გვეყრება ხეირი!

როგორ უნდა მოიქცეს ჩვენი თავად-აზნაურობა, რომ გლეხსა და ამას შუა ეს განკერძოება, ეს ინტერესების განცალკევება მოისპოს? რა გზას უნდა დაადგეს საქართველოს თავად-აზნაურობა, რომ სრულებით არ დაავიწყებინოს თავის ქვეყანას ის სამსახური, რომელიც ისტორიულად მიუძღვის მას? რა არის ნამდვილი „კეთილშობილობა“? როგორ გამოიჩინა ჩვენმა თავად-აზნაურობამ თავი ჩვენი ბანკებისა და საზოგადო კრებების დროს?—ყველა ამაებზე შემდეგს ნომრებში მოველაპარაკებით მკითხველს.

ს. მ.

---

მომავალ სამშაბათს, 15 ამ თვეს, ქუთაისში იქნება თავად-აზნაურთა საზოგადო კრება.

ამ კრებამ უნდა ამოირჩიოს გუბერნიისა და უეზდის მარშლები, და ამას გარდა, როგორც რუსეთის თავად-აზნაურთა ყველა კრებებს, ამასაც ექნება უფლება, რომ თავის საზოგადო საჭიროებებზედ მოილაპარაკოს.

მარშლების ამორჩევის საქმე როგორ წავა ქუთაისის გუბერნიაში—ეს ყველამ ზეპირათ ვიცით: ახლანდელი მარშალი, რასაკვირველია, მოინდომებს, რომ თავის საპატიო თანამდებობაზე არ გაუშვას ხელიდამ; აღმოჩნდებიან იმის შემცილე-

ბლები, რომელთაც უნდათ ან მომეტებული პატივის-ცემა ან ჩინი დაიმსახურონ ვისგანაც ჯერ არს, და ამ განზრახვით ჩამოიტანენ ქუთაისში რამდენიმე ასს ანუ ათასს თუმანს მეკენჭეების მოსასყიდველად. ამბობენ, გურიიდამ ორი კაცი მოდის გუბერნიის მარშლობაზე კენჭის-ყრის მსურველიო, ერთს თერთმეტი ათასი მანეთი მოაქვს თან და მეორეს ოც-და-ოთხი ათასი მანეთიო.

ყველანი დარწმუნებული არიან, რომ ვისაც მეტი მოაქვს, ის მოიგებსო...

მაგრამ ეს კიდევ არაფერი; ვახუშტის ამოარჩევენ თუ გოგიტას—ამით იმერეთს—მაინცა-და-მაინც ბევრი არც არა შეემატება და არც დააკლდება. საქმე იმაშია, რა საზოგადო საჭიროებას გამოაცხადებს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება.

ბოროტი ენები ამტკიცებენ, რომ ამ მხრით იმერეთის თავად-აზნაურობა ტფილისისას წაბაძავსო: აპირებენო თხოვას, რომ რამდენიმე ავაზაკსა და კაცის-მკვლელს თავადსა და აზნაურს აპატიოს მთავრობამ, ვინც ციმბირში გასაგზავნია, არ გაგზავნონ და ვინც გაგზავნილია, დააბრუნონ.

რაღა თქმა უნდა, რომ თავად-აზნაურობა, ნ. წ—ლი ნ. ღ—ძე რომ ჩვენის ქვეყნისათვის ითხოვოს ან ერობის შემოღება, ან რომელიმე უმაღლესი სასწავლებლის, ან სამშობლო ენის უფრო მომეტებული ყურადღებისა და პატივის-ცემა ჩვენს სასწავლებელში, ან სხვა ამგვარი უბრალო რამე...

---

## დღიური

⁂ დღეს დილით ქალაქში გავრცელდა ხმა, რომ ერთი ვიღაც ქალაქის მდიდარი გაუცარცვავთო, ორასი ათასი მანეთის ნივთები და ფულად-ფული წაუღიათ ავაზაკებსაო. დაწვრილებითი ამბავი ჯერ არ შეგვიტყვია.

⁂ განჯის გუბერნიაში, განსაკუთრებით ყაზახის უეზდში, წელს კალიამ დიდი ზარალი მისცა პურსა და საზოგადოთ ყოველ გვარ მცენარეს. ამბობენ, რომ მტკვრის ორივ ნაპირას ისე ამოაგდო ყველაფერიო, რომ ხელისგულივით არის იქაურობა მოწმენდილიო.

იქნება ამ გარემოებას უნდა მიეწეროს, რომ პური და ამასთან ყველა სხვა ხორაგი თან-და-თან ძვირდება ამ ჟამად ჩვენს ქალაქში.

⁂ მოგეხსენებათ, რომ ახალი კანონის ძალით, სასულიერო სემინარიებში კურს-შესრულებულ ყმაწვილ-კაცებს უფლება აღარა აქვთ ახლა, რომ რუსეთის რომელსამე უმაღლესს სასწავლებელში შევიდნენ.

ჩვენ გვაცნობებენ, რომ ამ კანონს ძალიან დაუღონებია ჩვენი სასულიერო სემინარიის შაგირდები, რომელთაგან ზოგიერთები უნივერსიტეტში და საექიმო აკადემიაში აპირებდნენ წასვლასაო.

⁂ საჩივარი გვესმის ზოგიერთ ჩვენი ქალაქს გარეშე ხელის-მომწერლებისაგან; გურიიდამ გვწერენ, მაგალითად, რომ ორ ნომერში ძლივს ერთი მოგვივაო და ისიც კვირაში თითოჯერო, ხან არც ისო.

ჩვენ რომ მუდამ თავის დროზე ვგზავნით გაზეთს, ამაში ყველა ხელის-მომწერელი დარწმუნებული უნდა იყვეს. მაშასადამე ეს საყვედური პირ-და-პირ ჩვენს ფოჩტას შეეხება და იმის საცნობლად ვაცხადებთ ამას.

⁂ დუშეთის უეზდიდამ გვწერენ, რომ ერთი იქაური დიდი საბალახე ადგილების პატრონი მემამულე უფ. ჭილაშვილი ძალიან ავიწროებს თურმე გლეხებსა და განსაკუთრებით მეცხვარეებს; ადრე ზაფხულში ასზე ერთ ცხვარს ახდევინებდნენ და ახლა კი ეს ოცზე ერთს ახდევინებსო. და ამას სჩადისო იმიტომ, რომ იცის, ხალხს ამის გარდა სხვა გზა არა აქვსო.

⁂ ოსეთიდამ წელს ძალიან კარგი ამინდების ამბავი მოდის.

⁂ ჩვენ გვითხრეს, რომ მთავრობას დაუთხოვნია სამსახურიდამ ის პირი, რომელიც ტფილისის გაზეთებში იწერებოდა გორის უეზდიდამ ავათმყოფობის გავრცელებას ამ უეზდის ზოგიერთ ადგილებში.

ჩვენ არ გვჯერა, რომ ეს ამბავი მართალი იყვეს; არ გვჯერა იმიტომ, რომ ყველაფერი, რასაც ის პირი იწერებოდა, ყველაფერი მართალი გამოდგა, ყველაფერი დაამტკიცა იმ კამისიამ, რომელიც განგებ ამ საქმის გამოსაძიებლად იყო ამას წინათ უფ. ტფილისის გუბერნატორისაგან გორის უეზდში გაგზავნილი.

---

## ქუთაისის ბანკის კრება

30 აპრილს.

(გაგრძელება)

უფ. მ. დარახველიძე. ტფილისის გუბერნიაზე რომ გავავრცელებთ ბანკის მოქმედებას, რადგან სესხის გამტანლებს ხმა ექნებათ კრებაში, შეიძლება იქედან იმდენი იქნეს ხმის მქონე, რომ ბანკის საქმე ისე წაიყვანონ, როგორც მათ ესურვებათ, და ჩვენ ვეღარა გავარიგოთ.

კირ. ლორთქმანიძეს ამ აზრის წინააღმდეგ ლაპარაკი ჰსურს, მაგრამ ბევრი ხმაურობას იწყებს და უშლიან სიტყვის თქმას.

უ.მ.დარახველიძემ და ნ.ღოლაბ.სთქვეს, საჭიროა დრო მოგვეცეს, ეს ცვლილებანი დაიბეჭდონ ყველასათვის საცნობლათ და მომავალს კრებაში განვიხილოთ. უფ. დარახველიძემ ჰსთქვა, რომ ჯერ ამორჩევა მოვახდინოთ ბანკის მმართველის და სხვების, და ეს კითხვები შემდეგ განვიხილოთ. უფ. ნ. ღოლაბერიძე ამბობდა, რომ ასე მალე გადაწყვეტა ამ კითხვების ძნელიაო; ეს ცვლილებანი წინეთ უნდა გვქონოდა შეტყობილი, მოვიფიქრებდით კარგათ და ახლა გადავწყვეტდითო.

თავმჯდომარემ ამაზედ თავის შენიშნვა ჰსთქვა, რომ უფ. ნ. ღოლაბერიძემ კარგათ იცოდა, რა ცვლილება იყო მოსახდენი წესდებაში; ამაზედ რამდენიმე დღით ამას წინეთ უფ. დ. ლორთქმანიძის სადგომზე გვქონდა ლაპარაკიო.

ბოლოს უფ. ნ. ღოლაბერიძემ ურჩია, რომ, თუ მაინც და მაინც, იმისთანა ცვლილებაზე ვილაპარაკოთ ახლა, რომელიც მიუცილებლათ საჭირო არისო, და უჩვენა წესდების იმ მუხლზე, რომელიც შეეხება ბანკის წევრთა რიცხვს კრებაში, რომელიც მიუცილებლათ საჭიროა, რომ წესდების შეცვლაზე სჯა შეიძლებოდეს; ეს მუხლი წესდების კარგათ ვერ არის გარკვეულიო. წესდება ჰთხოულობს, რომ ამ შემთხვევისათვის $^2/_3$ იყოს ბანკის წევრებისაო, მაგრამ ამის ასრულება ძნელიაო: ყოველთვის არ შეიკრიბება ორი მესამედიო: ამ კრებაში რომ არიან ბევრნი, ასე კი არ იქნება ყოველთვისო.

კირ. ლორთქიფანიძე. ბევრი იმ მუხლთაგანი, რომელნიც უნდა შევცვალოთ, ისე ძნელი არ არის, როგორც ამბობენ, და გადადება მათი განხილვისა საჭირო არ არის.

უფ. გ. წერეთელი ჰთხოულობს, რომ ორი საათით შესწყდეს სხდომა, რომ ვისაც ჰსურს გაეცნას ამ კითხვას. საყვედური უნდა ეთქვას ზედამხედველ კომიტეტს, რომ ადრევე არ გვაცნო ამ საგანზეო.

დ. ლორთქიფანიძე. შევცვალოთ მარტო ის მუხლი, რომელიც წესდების შეცვლას შეეხება; დანარჩენ მუხლებს ასე მალე ნუ შევცვლით. დაინიშნოს კომისია, რომელმაც განიხილოს კარგათ ეს საგანი შემდეგი კრებისათვის, მაგრამ სამი თვით წინეთ მაინც გვაცნობოს კრებამდის თავისი აზრი ამ კომისიამ.

შეიქნა დიდი ხმაურობა. ზოგი იძახის „გადავდვათ“, ზოგი „ნუ გადავდებთ.“ ხმები აირ-დაირიენ, ისე რომ კაცი ვეღარას გაიგებდა. ერთ ხანს გაგრძელდა ეს არეულ-დარეულობა.

თავმჯდომარემ მოჰრთო ხანგრძლივი ზარის რაწკუნი და როგორც იყო ცოტათ დაჰწყნარდა ჩვეულებრივი ქარიშხალი იმერულ საზოგადოების კრებებისა. ამ ხმაურობაში და ვაი-უშველებელში დაჰბადებულა შემდეგი წინადადება: მსესხებლებს ხმა არ ექნეს ბანკის კრებაშიო. არც ერთ სიტყვას, არც ერთ აზრს არ გამოუწვევია ისეთი მღელვარება, როგორც ამას. ამ წინადადებამ სამ-ოთხ ნაწილათ გაჰყო მთელი კრება და შეაჯახა ერთმანერთს.

„—ბატონო, მსესხებელს რათ უნდა ჰქონდეს ხმა? იმას ის არ ეყოფა, რომ ფულს ვასესხებთ? რისთვის უნდა ექნეს ხმა? მისთვის, რომ სარგებელი შემოაქვს? სარგებელი რომ შემოაქვს, მაგიერათ ჩვენი ფულით სარგებლობს„—ამბობენ ბევრნი.

„—იქნება მსესხებლების რიცხვი დიდი შეიქნეს, და თავის გემოზედ წაიყვანონ საქმე! ამას ვერ ვიქთ! ბანკი ჩვენია და უმთავრესათ ჩვენს განკარგულებაში უნდა იყოს!“ ამბობენ სხვები.

ხანგრძლივის ბაასის შემდეგ წევრებს შორის თავადმა მ. დადიანმა და უფ. დარახველიძემ წარმოუდგინეს თავმჯდომარეს დაწერილი წინადადება შესახებ მსესხებლების მონაწილეობისა ბანკის კრებებში. წინადადება შეიცავდა აზრს, რომ მსესხებლებს ხმა არ ექნეს არც ბანკის წესდების შეცვლაში და არც ბანკის სარგებლის მოხმარებაშიო. ამაზედ თავმჯდომარემ უპასუხა მათ, რომ ეს უსამართლობა იქნებაო; ის კაცები პასუხის მგებელნი არიან თავიანთ დაგირავებულ მამულებითო და უფლებას არ აძლევთო. თუ პასუხის მგებელნი არიან, უფლებაც უნდა ჰქონდესთო.

მ. ლორთქიფანიძე. სულ ნუ წავართმევთ ხმას მსესხებლებს: ერთი მესამედი ხმის უფლება მივსცეთ.

შეიქნა კიდევ დიდი ხმაურობა. საზოგადოება აღელდა ძლიერ. მოქასა და მალომას ვერ ამოვიჯენთ გვერდში და ვერ გადავაწყვეტიებთ ჩვენი ბანკის წესდების შეცვლას და სარგებლის დახარჯვასო. ზოგიერთი ყმაწვილები ცდილობდენ დაეჯერებიათ საზოგადოება, რომ ამ წინადადების გატარება არ ივარგებს არც ბანკისთვის და არც საზოგადოთ ჩვენთვისო, მაგრამ გაგონება არავისაგან იყო. უმეტესობა სულ გაცეცხლებული იყო და უკმაყოფილებას უცხადებდა ამ ყმაწვილებს. თქვენ, სერთუკიანებს, ის გინდათ, რომ ყველანი გასწორებულნი ვიყოთ ერთათ და ჩვენი საკუთრებით სხვებმაც ისარგებლონო! სხვებს თუ არაფერი შემოუტანიათ ბანკის საფუძვლათ, სარგებელთან რა ხელი აქვსთო?

პარ. ლორთქიფანიძე. უფ. ნ. ლოლაბერიძემ გადაჰსწყვიტოს ეს საქმე. იმან აგვიხსნას, გაგვაგებინოს. ასე აჯობებს, რადგან, როგორც ვატყობ, ბევრი დამჯერებელი ჰყავს აქ.

უფ. გ. წერეთელს უნდა ილაპარაკოს, მაგრამ არ აცლიან შეიქნება ყვირილი: „—არ გვინდა, არა! ნურას ჰლაპარაკობ!“ ორატორი მეორეთ წამოდგება და დაასწრებს როგორც არის ორ-სამ სიტყვას: „უფ. ნ. ლოლაბერიძეს დავაცალოთ, ის განმარტებს... (არა! არა!“) წელან ჰლაპარაკობდა წესდების შეცვლა... („არა! არა!“). უფ. წერეთელი იძულებული შეიქნა გაჩუმებულიყო, რადგან იმ ხმაურობაში ლაპარაკი ძნელიც იყო და არც დააცალეს. ზოგიერთები იმნაირათ გაბრაზდენ, რომ გეგონებოდა გადაჰყლაპავენ ამ კაცსო.

თავმჯდომარე უარს ეუბნება წინადადებაზე შესახებ მსესხებლების ხმის წართმევისა; ეს წინადადება რამდენიმე დღით წინეთ უნდა შემოტანილიყო ბანკის სამმართველოში და მხოლოთ მაშინ გექნებოდათ უფლება, რომ ახლა ამაზედ სჯა გვქონოდაო.

თავმჯდომარე. ვილაპარაკოთ ახლა წესდების იმ ცვლილებაზე, რომელიც მოგახსენეთ თუ არა? ინებებთ გავათაოთ ახლა ეს საქმე, თუ გადავდვათ შემდეგისათვის?

„—არ შეიძლება! ჯერ ის უნდა გადავწყვიტოთ: ექნეს მსესხებლებს ხმა თუ არა? სანამ ეს არ გადაჰსწყდება, არაფერს არ ვიტყვით! მოაძახეს პასუხათ,

თავმჯდომარე იძულებული შეიქნა, რომ კენჭი ეყაროთ ზევით მოხსენებულ წინადადებისათვის. „კენჭი! კენჭი!“ გაისმოდა დიდს ზალაში ასი-ორასი კაცის ხმა. უყარეს კენჭი და თავად. მ. დადიანის და უფ. დარახველიძის წინადადება გავიდა 309 ხმით წინააღმდეგ 64-ისა სხდომა გადავდა 4 საათზე.

ა. ჭიჭინაძე

## ღია ბარათი

უფ. დავით ნიკოლოზის ძეს ბაქრაძეს.

მოწყალეო ხელმწიფევ!

სხვა სიბილწეთა შორის, რომელნიც ვითომც სხვა-და-სხვა თანამდებობაზე მოსურნე კანდიდატებთა ჩაუდენიათ ამ ბოლონდელს ბანკის საზოგადო კრების დროს, ჩვენდა სამწუხაროთ, შევიტყეთ, ვითომც—თქვენც თქვენი კანდიდატურის გაყვანისთვის მოგენდომებინოსთ მთელი თ.თ. ფალავების მოსყიდვა და ამ განზრახვით გაგეგზავნოსთ მათთვის, უუ. ბეს. ბაქრაძისა და თ. დიმ. ერისთვის ხელით, ხუთასი მანეთი; ეს ფული თ.თ. ფალავებს, საზოგადო მოლაპარაკების შემდეგ, მიეღოსთ, მაგრამ იმ განზრახვით კი არა, რომ თქვენთვის თეთრი კენჭი მოეცესთ, არამედ იმიტომ, რომ ის ხუთასი მანეთი აქაური „ღარიბ მოსწავლეთა შემწე საზოგადოებისათვის“ შეეწიროსთ.

დღეს გვარწმუნებენ, რომ თ.თ. ფალავეებმა ეს ფული ზემომოხსენებულ საზოგადოების კასსაში შეიტანეს კიდეცაო.

მე გახლავართ ერთი იმათგანი, რომელნიც, სხვათა შორის, თქვენს კანდიდატურასაც თანაუგრძნობდი და ეს გარემოება საზოგადოების ზოგიერთა წევრთა კარგათ იციან; ჩემთვის აუცილებელათ საჭიროა ვიცოდე—რამდენათ მართალია ხალხში გავრცელებული ეს ხმა.

ამისათვის უმორჩილესად გთხოვ დაუყოვნებლივ ჯერ ბეჭდვით დაგვიმტკიცოთ თქვენი სიმართლე და შემდეგ ესვე სუდის წესით ეძიოთ.

წინააღმდეგ შემთხვევაში, მე იძულებული ვიქნები შესაბამი სახელი დავარქვა თქვენ მოქმედებას და უარი ვყო თქვენს პატიოსნებაზე.

ივ. მესხი

ქუთაისი, 4 მაისს.

# უცხო ქვეყნები

## ოსმალეთი

ყველა უცხო ქვეყნის გაზეთები ერთხმად ამბობენ, რომ რუსეთსა და ოსმალეთს შუა ამ უკანასკნელ დროს თანდა-თან მკვიდრდება ჭეშმარიტი-გამწყობილება და კავშირიო. ამბობენ, ხონთქარი დარწმუნდაო, რომ რუსეთის იმპერატორს იმისათვის არაფერი ცუდი არა ჰსურსო, და ამის გამო რუსეთს სტამბოლში ახლა დიდი გავლენა და პატივი აქვსო. მართალია, ახლად სტამბოლში დაბრუნებულ ინგლისის ელჩს ლეიარდს ხშირი მოლაპარაკება აქვს სულთანთანაო, მაგრამ ეს მოლაპარაკება უფრო ფულის (სესხის) საქმეს შეეხებაო.

— ყველა სახელმწიფოები დათანხმდნენ აღმოსავლეთ რუმელიის მთავარმმართებლად (ღენერალ-ღუბერნატორად) ალეკო-ფაშის (თ. ბოგორიდესის) ამორჩევაზე. ალეკო-ფაშა ამ ჟამად უკვე წავიდა ფილიპოპოლში, სადაც რუსებისაგან (ღენ. სტოლიპინისაგან) უნდა ჩაიბაროს აღმოსავლეთ რუმელიის გამგეობა.

— ბოსნიიდამ და ჰერცოგოვინიდამ მაჰმადიანებს გაუგზავნიათ დეპუტაცია სტამბოლში და უთხოვნიათ ხონთქრისათვის, რომ იმათ მიეცესთ ადგილი ოსმალეთში, რადგან ავსტრიის ქვეშევრდომობა არა ჰსურთ. ხონთქარს შემოუთვლია ამათთვის, რომ თავისუფალი ადგილი არა გვაქვსო და გირჩევთ ისევ თქვენს ქვეყანაშივე დარჩეთო.

## საფრანგეთი

ამ დღეებში გაიხსნა ვერსალში ნაციონალური კრება. დიდ ამბებს და ბევრ შესამჩნევ ბაასს მოელიან ამ კრებაში. ყველაზე უფრო გაცხარებული ლაპარაკი ჩამოვარდება ნაციონალურ კრებისა და სენატის ვერსალიდამ პარიჟში გადმოტანის თაობაზე და იმ კანონის პროექტის თაობაზე, რომელიც წარადგინა სახალხო განათლების მინისტრმა ჟულ ფერრიმ და რომელიც თხოულობს, რომ პატრებს და საზოგადოთ სასულიერო წოდებას ხალხის განათლების საქმეში გავლენა და მნიშვნელობა ჩამოერთვას. ამბობენ, რომ თვითონ სამინისტროში არის ამ საგნების შესახებ უთანხმოებაო და ამის გამო ზოგიერთი გაზეთები ამტკიცებენ, რომ ახლანდელი (ვადინგტონის) სამინისტრო უნდა გადადგეს და იმის მაგივრად ახალი სამინისტრო გამბეტტამ უნდა შეადგინოს.

— მართებლობას განზრახვა აქვს ახალი კანონი შემოიღოს არმიაში, რომლის ძალითაც სალდათმა მხოლოთ სამი წელიწადი უნდა იმსახუროს.

## იტალია

იტალიურს გაზეთებში იწერებიან, რომ გამოჩენილი პატრიოტი ჯუზეპპე გარიბალდი ამ ჟამად ძალიან ავათ არისო, ასე რომ ექიმებს იმის მორჩენის იმედი დაეკარგათო.

# განცხადებანი

ამ მაისის 15-დგან გაღებული იქნება ქვა-მარილის მაღაზია ქ. გორში და ხაშურში. გორში—გიორგი რომანოვთან და ხაშურში—ცუცუნია არუწოვთან.

გორში და ხაშურშიაც ქვა-მარილი ყოველთვის იმ ფასად გაისყიდება, რა ფასადაც თფილისში ისყიდება.

გრიგოლ ბარამოვი და გიორგი რომანოვი.

(15—2)

---

15 ამ თვისას დანიშნულია საზოგადო კრება თფილისის საზოგადოებისა, რომელმაც სწავლა—განათლება უნდა გაახშიროს მთელ საქართველოში.

(4—2)

---

## თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ მაისის 31-ს, იმის თან-დასწრებით, უპრავაში იქნება მხოლოდ ერთხელ ვაჭრობა (ტორგი) მეტეხის ციხისათვის 149 საჟენის და ერთი არშინის შეშის იჯარით მოტანაზედ და აგრეთვე გუბერნიის საპყრობილისათვის 136 საჟენის შეშისა მომავალის 1880 წლისათვის.

(3—3)

---

დაიბეჭდა და ისყიდება
მერვე კარი

# „ქარამანიანისა“

ქუკიის ხიდზედ, ვართანოვის წიგნის მაღაზიაში მირზოევის დუქნებში.

და აგრეთვე ისყიდება იქვე I, II, III, IV, V, VI და VII კარი ქარამანიანისა

ფასი 40 კაპ.

---

უფ. გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება ყოველნაირი ახალი ქართული წიგნები.

მაღაზია იმყოფება ბაღის ზემოდამ, ქაშვეთის ეკკლესიის ქვევით დუქნებში. გარემე პირებს შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ წიგნები: Въ тифлисъ. Въ книжный магазинъ г. Чарквiани.

---

თფილისში უფ. გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისში უფ. პეტრე მესხის წიგნისვე მაღაზიაში ისყიდება:

# ალმანახი

შედგენილი
გ. თუმანიშვილისაგან
წიგნი მეორე
გამოცემული გ. ჩარკვიანისაგან
ფასი—ორი აბაზი

---

ქუთაისში

# პ. მესხის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

1) სიტყვანი და მოძღვრებანი—თქმულნი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ. ფასი 1 მან. და 50 კ.

2) იგივე, უკეთესს ქაღალდზე დაბეჭდილი. ფასი 2 მან.

3) რუსული ენის დასაწყისი კურსი ქართველთათვის (Практическій начальныйс куръ рус. языка для друзинъ) —შედგენილი გ. ქ—შვილის მიერ. ფასი—60 კაპ. ვინც 20 წიგნზე მომეტებულს იყიდის, ეგზემპლიარი დაეთმობა 50 კაპეიკად.

4) დედა ენა—ი. გოგებაშვილისაგან, 30 კ.

5) სიბრძნე სიცრუისა წიგნი—ფასი — — — — 50 კაპ.

6) ბუნების კარი—ი. გოგებაშვილისაგან — — — — 70 კაპ.

7) პატარა ბიბლიოთეკა—იმისივე — — — — — — 10 —

8) ლოცვანი, შედგენილი მღვ. დამბაშიძისაგან — — — 20 —

9) ნინო, მოთხრობა თ. რაფ. ერისთვისა— — — — — 15 —

10) თამარ ბატონიშვილი—დრამა 5 მოქმ. — — — — 30 —

11) არანკა, პოემა გ. წერეთლისა — — — — — — 20 —

12) სამზარეულო, ბარ. ჯორჯაძისა — — — — — 50 —

13) ქარამანიანი—პირველი ექვსი წიგნი— — — 30 კ. და 40 კაპ.

14) რძალი მული და მაშენიკები—კომ. თუთაევისა— — — 30 —

15) ქართული კალენდრები 15—

16) სახარება — — — 25—

17) „ბუტიაობა“ ვოდევილი აკაკისა — — — — — 20 —

18) „ვაი ჭკუისაგან“ კომედია გრიბოედოვისა, ნათარგმნი გ. წინამძღვაროვისაგან — — — — 40 —

19) სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი — — — — 30 —

20) მგოსანი—ლექსები— 20 —

21) ანუკა ბატონიშვილი 20 —

აქვე ისყიდება ყოველნაირი სახელმძღვანელო წიგნები რუსულს ენაზე კარტები, ატლასები, კალენდრები, რვეულები, კარანდაშები, მელანი, ქაღალდი, სურათები საქართველოს მეფეებისა და სხვ. და სხვ.

სასოფლო შკოლებს ყოველგვარი წიგნები მიეცემა ნაკლებ ფასათ.

მაღაზია იმყოფება მიხაილოვის ქუჩაზე, ხარაზოვის სახლებში, კლუბის ქვეშ.

---

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 85 | - | 44 |
| გორი. . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 3 | „ | 1 | 53 |
| ხაშური. . . | 1 | 29 | 11 | 57 | 4 | 73 | 2 | 42 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 90 | 2 | 61 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 7 | 21 | 3 | 69 |
| რიონი . . . | 6 | 57 | | | 8 | 44 | 4 | 31 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 9 | 66 | 4 | 93 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 10 | 71 | 5 | 47 |
| ფოთი . . . | 9 | 50 | | | 12 | 24 | 6 | 26 |
| ფოთი . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 53 | - | 78 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 61 | 1 | 33 |
| რიონი. . . | 12 | 13 | | | 3 | 84 | 1 | 97 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 5 | 3 | 2 | 56 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 7 | 34 | 3 | 74 |
| ხაშური. . . | 5 | 39 | 1 | 37 | 7 | 51 | 3 | 84 |
| გორი . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 24 | 4 | 73 |
| მცხეთა . . . | 8 | 50 | 6 | 59 | 11 | 39 | 5 | 82 |
| თფილის . . | 9 | 31 | 7 | 56 | 12 | 24 | 6 | 26 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში. . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავას . . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში. . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . . | 3 | 75 |

## ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ლია წიგნის . . . . . . . . . . | 3 |
| დაბეჭდილის (ხამი მისხალი) . | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 9 მაისს. | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ. | 2 | — |
| ფქვილი წითელი . . . | 1 | 60 |
| ქერი ფუთი . . . . . | 1 | 20 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | 20 |
| —ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 40 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 9 | 60 |
| მატყლი თუშური ფუთი. | 6 | 20 |
| —თარაქამისა ფუთი . . | 3 | 60 |
| აბრეშუმი ნუხური სტ . | 2 | 10 |
| ქონი, ფუთი . . . . . | 6 | 20 |
| ქონის სანთელი ფუთი . | 7 | — |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 12 | 45 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 90 |
| —ცხვრისა, ლიტრა . . | 1 | 8 |
| სპირტი ვედრო . . . . | 4 | 50 |
| შაქარი, გროც. ფუთი . | 7 | 30 |
| —ფხვნილი ფუთი . . . | 5 | 60 |
| ყავა გრგვილი, გირვ . . | — | 60 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი | 11 | 80 |
| თამბაქო, ხაშულო ფთ. | 7 | 30 |

## თფილისის სამკურნალო.

ერევნის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ორშაბათს: ვერმიშევი და ბარ. ლევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანცი—ქალის ექიმი და საშვილოსნოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.

ოთხშაბათი: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევს: ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო, ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 11 мая 1879 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.